

X . v. the NETHERLANDS

განჩინება

04.12.1978

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი, რომელიც ჰააგაში მართავდა ავტომობილს, გააჩერა პოლიციამ, რადგან იგი ეჭვმიტანილი იყო ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვაში. ალკო ტესტის დადებითი პასუხის შემდეგ, ჰოლანდიის საგზაო კოდექსის 33ა-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის შესაბამისად, განმცხადებელს მოსთხოვეს სისხლის ანალიზის აღება, რაზეც უარი განაცხადა და ამავე დროს, აღიარა რომ მიღებული ჰქონდა დიდი რაოდენობით ალკოჰოლი. ჰააგის რაიონულმა სასამართლომ, განმცხადებელი ბრალეულად სცნო და შეუფარდა ორ თვიანი პატიმრობა. აპლიკანტს ასევე ჩამოერთვა მართვის მოწმობა ექვსი თვის ვადით. საგზაო კოდექსის 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით, ასეთი გარემოებების არსებობისას, სისხლის ანალიზის ტესტის აღებაზე უარი მიჩნეულია სისხლის სამართლებრივ დანაშაულად. განმცხადებლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სამართალი

განმცხადებელი ჩივის, რომ მის საქმეში გამოყენებული ჰოლანდიის საკანონმდებლო რეგულაცია, რომელის მიხედვითაც ისჯება სისხლის ანალიზის აღებაზე უარი, (საგზაო კოდექსის 33.ა მუხლის 1-ლი, მე-3 და 35-ე პარაგრაფები) შეუსაბამოა უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპთან, იმდენად რამდენადაც, ეს წესები ავალდებულებს პირს, რომელიც ეჭვმიტანილია ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვაში, უზრუნველყოს მის დანაშაულზე მტკიცებულების წარმოდგენა.

კომისიამ წარსულში დაადგინა, რომ როდესაც პროკურორის მიერ წარმოდგენილია ფაქტობრივი სიტუაცია, ბრალდებულისთვის შესაძლებლობის მიცემა საწინააღმდეგო მტკიცებულების წარმოდგენის თაობაზე არ არის უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფთან მიმართებით (განაცხადი N 5124/71, კრებული 42,გვ.135)/

თუმცა, წარმოდგენილ საქმეში, განმცხადებელი იმყოფებოდა განსხვავებულ სიტუაციაში.

დადებითი პასუხის შემთხვევაში, სისხლის ანალიზის ტესტს, ჰოლანდიის საგზაო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, შეეძლო გამოეწვია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. ამავე დროს, ტესტის უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, ბრალდებულს შეიძლება გამართლებულიყო. ასე რომ, ეს არის მტკიცების მეთოდი, რომელიც დამნაშავესთვის შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც დადებითი შედეგის ასევე უარყოფითი შედეგის მომტანი.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათი ამოცანის შესაბამისად, უნდა მიიღონ გარკვეული ზომები ბრალდებულთან მიმართებით. იგი აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის 1 c პარაგრაფი ასეთ შემთხვევებში ასევე იძლევა წინასწარი პატიმრობის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მითუმეტეს დაუშვებს ისეთ უმნიშვნელო ჩარევებს, როგორცაა სისხლის ანალიზის აღება.

გარდა ამისა, კომისიის პრაქტიკაში უკვე იყო შემთხვევა, როდესაც ბრალდებულ პირს მოსთხოვეს სამედიცინო შემოწმების ჩატარება და მან დაადგინა, რომ ეს ფაქტი არ იყო შეუსაბამო კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფთან (განცხადება N 986/61, ყოველწლიური გამოცემა 5, გვ. 193, 199).

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ სისხლში ალკოჰოლის შემადგენლობა, თავისთავად არის მატერიალური მტკიცებულება ჰოლანდიის საგზაო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით. ფაქტობრივად, სანამ მეცნიერულად არ იქნება ნაჩვენები, რომ სისხლში ალკოჰოლის დონე ცდება 0.005 გრამს მილილიტრში, არ არსებობს მტკიცებულება, რომ დანაშაული განმარტებული 26-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში და 35-ე მუხლის 1 პარაგრაფში, იქნა ჩადენილი.

კომისია აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფილია სხვადასხვა გარანტიები სისხლის ანალიზის ტესტის თვითნებური და არასათანადო გამოყენების წინააღმდეგ. ამდენად, 33-ე მუხლი, ეხება მხოლოდ იმ პირს, რომელიც ბრალდებულია 26-ე მუხლით განსაზღვრულ დანაშაულზე. 33-ე მუხლის მე-4 პარაგრაფი უზრუნველყოფს ეჭვის შემთხვევაში ალკო ტესტის აპარატის გამოყენებას. უფრო მეტიც, სისხლის ანალიზის ტესტის ჩატარება შეიძლება მოითხოვოს მხოლოდ პროკურორმა, მისმა მოადგილემ ან პოლიციის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. კანონის შესაბამისი განკარგულება/განჩინება, ასევე ითვალისწინებს, რომ სისხლის ანალიზის ტესტი შესაძლებელია ჩაატაროს იმ ექიმმა, რომელიც უფლებამოსილია უარი განაცხადოს

ტესტის ჩატარებაზე სამედიცინო ხასიათის განსაკუთრებული შემთხვევებისას, 33.ა-ე მუხლის მე-4 პარაგრაფის მიხედვით.

საჩივარი არ შეიძლება წარმოდგენილი იყოს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ტესტი ჩატარდა ბრალის წაყენებამდე. ფაქტობრივად, ტესტის გამოყენება საჭიროა დაუყოვნებლივ.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში სისხლის ანალიზის ტესტი ძირითადად გამოიყენება საგზაო კანონმდებლობასთან მიმართებით.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელმა აღიარა ალკოჰოლის გადაჭარბებული დოზით მიღების ფაქტი. კომისიის აზრით, ეს აღიარება არ არის საკმარისი ტესტის ჩატარების ზედმეტად მიჩნევისათვის. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის/ალკოჰოლის რაოდენობა არის ერთ-ერთი მტკიცებულება, რომ დანაშაული ჩადენილია.

კომისიამ ასევე განიხილა მოთხოვნა კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით, რომელიც უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას. პირის ნების საწინააღმდეგოდ ფიზიკურმა ჩარევამ, თუნდაც მინიმალურმა, შეიძლება შექმნას პრობლემა ამ მუხლთან მიმართებით.

თუმცა, კომისია ითვალისწინებს, რომ ვერ იქნება განხილული სისხლის ანალიზის ტესტის შესაბამისობა კონვენციის მე-8 მუხლთან, თუ შესაბამისი კანონის მიზნები არ იქნება გაანალიზებული.

როდესაც კანონპროექტი წარადგინეს პარლამენტის წინაშე, აღიარებული იქნა, რომ იგი შეიცავდა შეზღუდვის ელემენტებს.

მიუხედავად ამისა, იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ საციცოცხლო ინტერესის მქონე საქმეებში, როცა ალტერნატიული გზა არ არსებობს, ასეთი შეზღუდვა უნდა იქნეს ნებადართული.

აქედან გამომდინარე, კომისია მიიჩნევს, რომ ჰოლანდიის კანონმდებლობა ასეთ შემთხვევასთან დაკავშირებით, შთაგონებულია სურვილით და საჭიროებით დაიცვას საზოგადოება, უფრო კონკრეტულად კი საგზაო უსაფრთხოება და სხვისი ჯანმრთელობა.

განაცხადის განხილვისას, არ აღმოჩნდა კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა.

განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელია კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პარაგრაფთან მიმართებით.

აქედან გამომდინარე, კომისიამ განაცხადი დაუშვებლად სცნო.